ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 10 სექტემბრის სხდომის

ოქმი N 11

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 10 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ
2. მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიების და დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრების კომისიების შექმნის შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო სამაგისტრო პროგრამებზე შემოსული განცხადებების სტატისტიკა და შესთავაზა ამის გათვალისწინებით შეეტანათ ცვლილებები ანკეტა-კითხვარში (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, კ.გელაშვილმა, ნ.თაყაიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში შეტანილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში შეტანილი ცვლილებები (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიების და დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრების კომისიების შექმნის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო კომისიების შემადგენლობა დეპარტამენტების მიხედვით (იხ. დანართები 2). ამასთან, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ელექტრონიკის დეპარტამენტმა თავი შეიკავა დარგობრივი კომისიის შექმნისგან.

დასამტკიცებლად ასევე წარმოდგენილი იყო დოქტორანტებთან გასაუბრების 3 კომისია: ელექტრონიკის, მათემატიკის და ინგლისურენოვანი მათემატიკის. ამასთან, აღინიშნა, რომ

კომისიის შემადგენლობიდან ნახევარზე მეტი მაინც უნდა დაესწროს დოქტორანტთან გასაუბრებას.

აზრო გამოთქვა: პროფესორებმა თ.ლეჟავამ, მ.ალანიამ.

სხდომის თავმჯდომარემ ცალცალკე დააყენა საკითხი კენჭისყრაზე: i) მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიების და ii) დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრების კომისიების შექმნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: I) მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.
II) მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: I) დამტკიცდეს მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიების შემადგენლობა (იხ. დანართები 2);
II) დამტკიცდეს დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრების კომისიები.

3. მიმდინარე საკითხები:

ა) ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკაში" გადასახადის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გადასახადის შესახებ, კონკრეტულად კი აღნიშნა, რომ ყველა ქართულენოვან პროგრამაზე დოქტორანტების სწავლის გადასახადი არის 150 ლარი ძირითად სემესტრებში და 300 ლარი დამატებით სემესტრებში. მან ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრში ინგლისურენოვან საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკაში" ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადი ძირითად სემესტრებში განისაზღვრა 150 ლარით. ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკის" ხელმძღვანელების თხოვნით სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება: ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკაში" ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე დოქტორანტებისათვის სწავლის გადასახადი ძირითად სემესტრებში განისაზღვროს 150 ლარით, ხოლო დამატებით სემესტრებში 300 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკაში" ჩარიცხულის საქართველოს მოქალაქე დოქტორანტებისათვის სწავლის გადასახადი ძირითად სემესტრებში განისაზღვროს 150 ლარით, ხოლო დამატებით სემესტრებში 300 ლარით.

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გაავცნო პროფესორ დ.კერესელიძის შუამდგომლობა დოქტორანტ თ.ხარძიანის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად ზურაბ ჯანელიძის დანიშვნის თაობაზე. რეცენზენტი შეიცვალა წინა რეცენზენტის განდაცვალების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დაინიშნოს დოქტორანტ თ.ხარძიანის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად ზურაბ ჯანელიძე.

გ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ სხდომის წევრებს მიმართამ რომ დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 5 ოტომბერი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 5 ოტომბერი.

დ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ ისაუბრა ცვლილებების შესახებ სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები", რომელიც მიმდინარეობს ერაზმუს+ საგრანტო პროექტის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები" (რომელიც მიმდინარეობს ერაზმუს+ ის საგრანტო პროექტის ფარგლებში) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- პროგრამის არჩევით მოდულებს „ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია" და „გარემოს ბიოტექნოლოგია" III სემესტრში დაემატოს სავალდებულო ლაბორატორიული კურსი 10 კრედიტის მოცულობით.
- პროგრამის არჩევით მოდულებს „აგრობიოტექნოლოგია" და „კვების ბიოტექნოლოგია" III სემესტრში დაემატოს სავალდებულო ლაბორატორიული კურსი 10 კრედიტის მოცულობით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი